ფასი 100 მ.

ეშმაკის მათრახი

№ 59

1921 წ.

თებერვლის 6

Unicus

F 5781

მეეზოვე. რას შემომესიეთ! მეეზოვე არ გინახავთ, თუ რა ამბავია?

ეშმაკი. მეეზოვე, ბარემ, ბევრი გვინახავს, მაგრამ ისეთი მეეზოვე, რომელიც ქუჩას ჰგვიდეს, დიდიხანია, არსად შეგვხვედრია. ეხლა ჩვენ შენს სურათს დავხატავთ, ზედ წარწერას გაუკეთებთ და მთელ დუნიას დაეუგზავნით. დეე, გაიგონ, რომ ასეთი საკვირველი მეეზოვე კიდევ დარჩენილა ერთი თბილისში. ყველაზე უწინ კი შენს სურათს ქალაქის მოურავს მივართმევთ.

მკითხველებს

„ეშმაკის მათრახის“ დიპლომატიურ წარმომადგენელთა თავგანწირული ბრძოლა ბრწყინვალე გამარჯვებით დაგვირგვინდა:

ჩვენი დიპლომატი მხატვრები—შალიკო ქიქოძე, ლადო გუდიაშვილი და დათიკო კაკაბაძე ისე შეუჩნდენ ანტანტის წარმომადგენლებს, იმდენი უჩიჩინეს მათ, ისე გაუპირეს საქმე, რომ ბოლოს აიძულეს საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულათ აღიარებიათ.

ამ თავდადებულ სახელმწიფო მოღვაწეთა წყალობით დღეს ჩვენი ქვეყანა სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

ჩვენ კარგათ ვიცით ბ. ევგენი გეგეჭკორის ზნე და ხასიათი!

მას უყვარს სხვისი ხელით ნარის გლეჯა და ჩვენი ჟურნალის დიპლომატიური წარმომადგენლების ნამუშევარს, ის, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დაიჩემებს და მიისაკუთრებს.

მორცხვ და უჩინარ მოღვაწეთა ხელით მოგლეჯილ ნარს თითონ დაიჭერს ხელში, ინდოურივით კაიფხორება და დაიძახებს:

— ნარი მიყვარს, ნარი მე,
ნარის სულის ჭირიმე...

თითქოს ეს ნარი მართლაც მისი მოგლეჯილი იყოს!

მაგრამ ცხოვრების სინამდვილე ვერ ითმენს სიყალბეს: ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და დღეს ყველა კარგათ ჰხედავს, ვისი წყალობაა ჩვენი იურიდიული ცნობა: ევგენი გეგეჭკორის თუ „ეშმ. მათრახის“ დიპლომატებისა!

ყველასათვის აშკარაა, რომ ჩვენი ქვეყნის იურიდიულმა ცნობამ ერთბაშათ დასცა უცხო ქვეყნების ღირებულება, ხოლო ჩვენი ქვეყნის ყველა ღირებულება საოცარათ ასწია.

და ვინაიდან „ეშმაკის მათრახი“, თუ ერთად ერთი არა, უმთავრესი მომქმედი იყო ამ ჩვენი იურიდიულათ აღიარების საქმეში, **ყველაზე ადრე და ყველაზე უფრო ჩვენი ჟურნალის ღირებულებამ აიწია:**

— დღიდან ჩვენი იურიდიულათ ცნობისა „ეშმაკის მათრახის“ ფასი 50 მანეთიდან ერთბაშათ 100 მანეთამდე ავარდა!

ეს მოვლენა აშკარათ ამტკიცებს, რა ღვაწლი მიუძღვის ჩვენს ჟურნალს საქართველოს ბრწყინვალე საერთაშორისო გამარჯვებაში და ვისი მოგლეჯილია ის ნარი, რომელიც ასეთი რიხით უჭირავს დღეს ხელში ბ. ევგენი გეგეჭკორს!

დიპლომატიური ნოტა*)

გავიგე თუ არა, რომ ჩვენს მთავრობას ახალი ნოტა მოსვლოდა საბჭოთა რუსეთის აქაურ წარმომადგენელისაგან, ფრთა-შესხმულივით გავფრინდი ქუჩაში გაზეთის საყიდლათ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ ნოტაზე დიდ იმედებს ვამყარებდი:

უპირველეს ყოვლისა, ერთი კარგი, „ლოთიანი“ ნოტა პირადათ ჩემთვისაც უებარი წამალი იქნებოდა;

ორი დღის ნაქეიფარი გახლდით და ჩემს არსებაში ერთი განუწყვეტელი დავა და კამათი სწარმოებდა, რადგან საბრალო „მე“-ს უთვალავი მამხილებელი და მქენჯნავი იდუმალი ხმა დაჰხვეოდა, ალყა შემოერტყათ ყოველი მხრიდან და გაუნელებლივ სჩხვლეტდენ, ჰგმირავდენ და ლახვრავდენ ათასი საშინელი ბრალდებითა და მხილებით.

უმწეო „მე“ ველარ უძლებდა მათ სასტიკ ეერიშებს, გასაქცევი გზაც არსად ჰქონდა და იძულებული იყო ბოლოს ხმა-ამოუღებლივ ყური ეგდო მათი საძაგელი მხილებისათვის და თვისი გაჩენის დღე ეწყევლა...

ქანც-გამოლეული და ღონე-მიხდილი ჩემი „მე“ სწორედ იმ მოწაფეს ჰგავდა, რომელსაც ყველა საგანში ორიანი მიუღია, თავჩაღუნული სდგას კუთხეში და მასწავლებლები კი რიგ-რიგობით ლანძღავენ და ათრევენ მას... მაგრამ აი, ერთმა კინტუა ბიჭმა, რომლის ოინები ცნობილია მთელ სასწავლებელში, უეცრად ცხვირი შემოჰყო ამ დროს კარებში და, რაც ყანყრატოში ამოეტეოდა, ხმა მაღლა დაიყივლა:

— ყიყ-ლი-ყო-ო!

მასწავლებლები დაფრთხენ, თავი მიასვ[illegible] თავის მსხვერპლს და იმ კინტუა ბიჭს გამოუდგენ...

სწორედ ამ კინტუა ბიჭის „ყიყლიყოსავით“ უნდა მომვლინებოდა მეც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელის ნოტა, რომელიც ისე დააფრთხობდა და მომაშორებდა იმ საძაგელ მქენჯნავ იდუმალ ხმებს, როგორც „ყიყლიყომ“ მოაშორა აბეზარა მასწავლებლები საბრალო მოწაფეს.

ეს იყო, ასე ვთქვათ, ერთი მხარე ახალი ნოტის მნიშვნელობისა.

მეორე მხარე, არა ნაკლებ საყურადღებო გახლდათ:

ახალ ნოტას უნდა შევერიგებინეთ მე და ჩემი ცოლი, რომელმაც წუხელის, ფრიადის დაგვიანებისა გამო, ბინა დამიკეტა და დილამდე მაყურყურა კარებთან ნაქეიფარი და დაქანცული ადამიანი.

ამისდაგვარათ, ახალ ნოტას უნდა აღედგინა ჩემი სულიერი სიმშვიდე და წონასწორობა და ჩამოეგდო ზავი და მყუდროება ჩვენს ოჯახში.

*) იხ. № 57.

აი, რა ეფექტებს მოველოდი ახალი ნოტისაგან და აბა, ამის შემდეგ, ვის გაუკვირდება ის მოუთმენრობა რომლითაც მე იმ ნოტიან გაზეთის შესაძენათ გავიქეცი ქუჩაში:

ჩემი ნაცნობი მეგაზეთე როგორღაც ვერ დამიხვდა მომენტის შესაფერ გუნებაზე.

წინათ, როდესაც ნოტიან გაზეთის საყიდლათ მივიდოდი ხოლმე, შორიდანვე ვამჩნევდი მისს ყურებამდე გაღიმებულ სახეს და ცულლუტურად გაბრწყინვებულ თვალებს.

— მობრძანდით, მობრძანდით, ბატონო ონისიმე, ხა-ხა-ხა! Есть для васъ сегодня **диплипитоматическая** нота, ხა-ხა-ხა!—შემომძახებდა ხოლმე ხარხარით.

დღეს კი, დამინახა თუ არა, თითქოს რაღამაც შეაწუხაო, თავი დაბლა ჩაღუნა, შემდეგ ისევ ზევით ასწია, ნაჩქარევათ შემომხედა, მიტრიალდა და გაზეთების თვლა დაიწყო.

— სოსო, გამარჯობა შენი! მოიტა, რაღა, დიპლიპიტო ნოტა! — მივაძახე მეგაზეთეს.

— შვიდი, რვა, ცხრა, ათი...— განაგრძობდა თვლას იგი, თითქოს არც კი შეენიშნოს ჩემი მისვლა.

— კაცო, მოიტა გაზეთი, ნუ მალოდინებ!— გავუმეორე მე.

მან აიღო ერთი ცალი გაზეთი და ხელ-უკუღმა ჩამიდო ხელში ისე, რომ არცკი შემოუხედავს ჩემთვის.

— არის შიგ ნოტა?—ვკითხე მე.

— დიახ, გახლავთ!— მიპასუხა მან უგულოთ.

— ვინ აწერს ხელს?

მეგაზეთემ არა მიპასუხა-რა და თავის პატარა ნოქარს გაანჩხლებული ლანძღვა დაუწყო ყოველად უმ[illegible]ეზოთ.

[illegible] დღეს შენ რაღაც გუნებაზე ვერა ხარ, [illegible]-ჯან!—შევნიშნე მე და გაზეთი გავშალე.

— დიახ, ბატონო, ცოტა შეუძლოთ გახლავარ!—მიპასუხა მან.

— ჰა—ჰა! აი ვიპოვე კიდეც! —წამოვიძახე მე სიხარულით და ნოტის ბოლოს დავხედე ავტორის ვინაობის წასაკითხად.

წარმოიდგინეთ იმ ბავშვის მდგომარეობა, რომელსაც ხელი გაუშვერია იმ იმედით, რომ შიგ ჩურჩხელას ან გოზინაყს ჩაუდებენ, სამაგიეროთ კი გულქვა და უნამუსო ადამიანი ნაცვლად გოზინაყისა გაშვერილ ხელში მოულოდნელათ ბაყაყს ან ხარაბუზას მისცემს.

დაახლოვებით ასეთი გრძნობა განვიცადე მეც იმ წუთში.

ნოტის ბოლოში, ნაცვლად ნაჩვევი გვარებისა—ჰუსეინოვის, კიროვის, ბეგზადიანს და შეინმანისა—გაჭიმული იყო:

— საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელის მოვალ. აღმსრ. საქართველოში ს. ი. ჭავთარაძე.

დამფრთხალისა და საცოდავის თვალებით მიმოვიხედე ირგვლივ, თითქოს მომეპაროს რამე, და საჩქაროთ დაჭმუჭნული გაზეთი ჯიბეში ვიკარი.

მივხვდი, რასაც ნიშნავდა ჩემი მეგაზეთის უგუნებობა და ვგრძნობდი, რომ ის ამ წუთში იმასვე განიცდიდა, რასაც მე. აღარც კი მიმიხედავს იმისაკენ, ისე გავექანე შინ.

ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე!

მართალია, ის აბეზარა იდუმალი ხმები, ჩემ სინიდისს რომ დაუნდობლათ ჰქენჯნიდენ, ერთბაშათ დაფრთხენ და სადღაც გადიკარგენ, მაგრამ ახლა სამაგიეროთ სხვა, არა ნაკლებ მტანჯველი, აზრი ამეკვიატა.

თვალწინ მედგა დიპლომატიური ნოტის ბოლოზე მიწერილი სახელი და გვარი და მოსვენებას არ მაძლევდა.

— ეჰ, დასწყევლოს ღმერთმა! მე და სოსო-მეგაზეთე ძლიერ სუსტი ნერვების ვყოფილვართ, —ვფიქრობდი მე: ყველაზე ერთგვარათ ხომ არ იმოქმედებს ეს ამბავი... ვინ იცის, სახლში იქნება ამ ახალმა ნოტამაც წინანდელებივით გასჭრას და ოჯახის „სტატუს ქვო ანტე“ მაინც აღმიდგინოს...

ვნახოთ, უცებ ჩემი ყურადღება ერთმა შორიდან მომავალმა არაჩვეულებრივმა ეტლმა მიიქცია.

მშვენიერი შავი რაშები ება იმ ეტლს. ეტლიც საუცხოვო ლამაზი იყო და შავათ ◆ პრიალებდა. შიგ იჯდა, ვიღაც ნებიერი ახალგაზრდა კაცი, თავიდან ფეხამდე შავათ ჩაცმული და თითონაც შავგრემანი. ევროპიული ტანსაცმელის მაგიერ რომ ოქრომკედით ნაქარგი ტანისამოსი სცმოდა და თავს ძვირფას თვლებიანი დოლბანდი ჰხურებოდა, ზედგამოჭრილი ინდოეთის რაჯა იქნებოდა, ისე ლამაზი იყო ის კაცი.

შავი ცხენები, შავი ეტლი, შავი ტანისამოსი, თითონაც შავგრემანი,—და ამ ერთიან სიშავეში საოცრად ელავდა სპილოს ძვალსავით თეთრი კბილები.

ის მომხიბლავათ ულიმოდა ნაცნობებს და თავაზიანათ ესალმებოდა.

პირველი გრძნობა აღტაცებისა დაღონებამ შემიცვალა.

— ვინ უნდა იყოს ეს ცხოვრების ნებიერი?— ვფიქრობდი მე: ეჭვი არ არის, ვინმე მილიარდერი იქნება... მერე, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფუფუნების სურათი გაძვალტყავებულ ღატაკ მოქალაქეზე? აბა, გაბედავდა ეს ვაჟბატონი ასე თავისუფლად ნავარდს საბჭოთა რუსეთში! სწორედ დიდი გაკიცხვის ღირსია ამ მხრივ ჩვენი მთავრობა!..

ეტლმა ცხვირ წინ ჩამიქროლა, მილიარდერმა ერთხელ კიდევ მიაშუქა თვისი ღიმილის ელვარება ვიღაც ნაცნობს და წავიდა...

ცნობის მოყვარეობამ ამიტანა, ველარ მოვითმინე და მორიდებით ვკითხე იმ კაცს, რომელსაც უკანასკნელად მიესალმა ის უცხო ჭაბუკი.

— უკაცრავად, ბატონო: ვინ იყო ის კაცი, ეხლა რომ ეტლით ჩაიარა?

— განა არ იცით?.. გაკვირვებით მიპასუხა მან: ეს რუსეთის წარმომადგენელი გახლავთ, სერგო ქავთარაძე!

— რას ბრძანებთ?—წამოვიძახე მე და ინსტინქტებრივათ მივტრიალდი იქით, საითკენაც ეტლი წავიდა, თითქოს უკან გამოდგომა მდომოდეს იმისი...

— მაშ აი, როგორი ყოფილა ის სერგო ქავთარაძე, რომლის ხელმოწერილი ნოტა ჯიბეში მიძევს!—ვფიქრობდი მე: რა მშვენიერი სანახავი ყმაწვილია! როგორი „სტილებრივი“ გარეგნობისაა!.. და მერე რა მომხიბლავი ღიმილი აქვს! ეჭვი არ არის, ასეთივე მომაჯადოებელი ღიმი უქროდა ტუჩებზე ამ ორი წლის წინათაც, როდესაც ჩვენი მთავრობა მას რუსეთში ასახლებდა და ის კი პატიოსან სიტყვას სდებდა, რომ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედებაზე ხელს აიღებდა!.. ეს უბადლო ღიმილი უკამაშებდა სახეზე მაშინაც, როდესაც რამდენსამე კვირის შემდეგ, საქართველოზე დაგეშილ უვიც ბრბოებს აშხნევებდა ბრძოლისათვის კავკავში. სწორედ აგრევე საუცხოოდ იღიმებოდა მაშინაც, როდესაც ამ „დიპლიპიტო“ ნოტას ხელს აწერდა .. ღმერთო ჩემო! რათა? რათა? რათ გამოვიდა, დღეს იგი ქუჩაში სასეირნოთ იმ შავ ცხენებიანი შავი ეტლით და თეთრი ღიმილით? განა მარტო მისი ნოტა კი არ მეყოფოდა?..

მივდიოდი შინ დამწუხრებული და თვალთაგან ვერ მომეშორებია ინდოეთის რაჯის მშვენიერი სახე. „ნეტავი მართლაც ინდოელი იყოს, — ვნატრობდი მე:—ინდოელი, ან რუსი, ან კიდევ სომეხი, გინდა თათარი! მისთვის ხომ სულ ერთია, რა ტომისაც უნდა იყოს . ჩვენთვის კი—ჩემთვის და მეგაზეთე სოსოსთვის—დიდი შვება იქნებოდა რომ დღევანდელ ნოტას ქვეშ ეწეროს ქავთაროვი, ან ქავთარიანი, ან კიდევ ქავთარ-კ-ლი-ზადე, ოღონდ კი ის „ძე“ არ ეჯდეს ბოლოში“.

სახლში რომ მივედი, ჩემი ჯალაბობა, ცოტა არ იყოს, ნერვებ-აზიდული დამიხვდა: ყველანი მიმხვდარიყვნენ, რომ ნოტის მოსატანად წავედი და მოუთმენრობა და ცნობისმოყვარეობა ემჩნეოდათ სახეზე.

— მამამ ნოტა მოიტანა! წაგვიკითხოს!—წამოიძახა ჩემი ორიენტაციის ვაჟმა—ბიძინამ.

— წაგვიკითხოს!—კეთილ ინება კვერის დაკვრა დედის მომხრემ და ჩემმა მოწინააღმდეგემ—ელიზბარმა.

ჩემმა მეუღლემაც კი ერთი-ორჯერ მესროლა მრავალმეტყველი თვალი და, როცა ველარ ელირსა ნოტის კითხვის დაწყებას, დაარღვია თითქმის სამი დღის უბრობა და ზურგშემოქცევით იკითხა:

— ვინ აწერს ხელს მაგ ნოტას? შეინმანი?

— აგერ არის... თითონ წაიკითხე,—წავილუღლუღე მე და გადავეცი გაზეთი.

ჩემმა მეუღლემ დახედა ნოტის ბოლოს, მერე მე შემომხედა დაბნეულის თვალებით, შემდეგ კიდევ გულიანათ დააშტერდა გაზეთს, თვალი ხომ არ მატყუილებსო, გაფითრდა და გაზეთი ხელიდან გაადგო.

ძირს დაგდებულ გაზეთს ელიზბარმა წაავლო ხელი, ჩახედა შიგ და ლოყები აეტკიცა თავში ავარდნილ სისხლისაგან.

— მოიტა აქა! რა ღმერთი გიწყრება?—წამოიძახა ბიძინამ, ხელში გამოჰგლიჯა გაზეთი, და დაუწყო ძებნა საბედისწერო ადგილს.

— აი, აქ დახედე! რაღაც დაბოხებულის ხმით უთხრა ელიზბარმა და თითით ანიშნა ის ადგილი.

ბიძინამ წაიკითხა და ზეზე წამოვარდა, თითქოს სადღაც გაქცევას აპირებსო. შემდეგ ისევ დაჯდა და გაზეთი ხელახლა ელიზბარს დაუდო მუხლებზე მაშინალურათ.

უსიამოვნო სიჩუმე ჩამოვარდა.

ყველანი თვალს ვარიდებდით ერთმანეთს და სიჩუმის დარღვევას ვერავინ ჰბედავდა, თითქოს მიცვალებული ყოფილიყოს ოთახში,

— ბიჭო, ელიზბარ, ხვალ რამდენი გაკვეთილი გაქვს?—ნაძალადევათ ჰკითხა ჩემმა ცოლმა.

— ოთხი, დედა!—ულაზათოთ უპასუხა ბიძინამ.

— პურის წამოღება არ დაგავიწყდეს!..

კვლავ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— დღეს კაცი იყო ქალაქის თვითმართველობიდან, რაღაც ანგარიში მოიტანა,—ერთხელ კიდევ სცადა სიჩუმის დარღვევა რიფსიმემ, მაგრამ ამაოდ.

ყველანი თავჩაღუნულნი ვისხედით და გულზე ყველას ერთი გრძნობა გვაწვა ლოდივით, გრძნობა, რომლის გამჟღავნება და გულიდან მოშორება ვერ გაგვებედა:

— გვრცხვენოდა.

თაგუნა

დაფნის გვირგვინი.

ვინა შვა წყალმან წმინდამან: ნევამან, ანმცა რეინმან,
ვარსკვლავი ჩრდილოეთისა, ბნელ ქვეყნის ნათელი მზე იმან,
სიზმართა გასჭვრეტს შმაგურთა, რუსეთის ელჩი შეინმან...
შფოთავს და დრტვინავს ლოგინში!.. თვალნი მოსტაცა სეირმან!

დიდაარს კომუნისტური სიშმაგე მისთა ზრახვათა!!
სურათი რამე იხილა, სჯობს ყოველთავე ნახვათა.
სურათი ცხადად ნანატრი! (ნუ ჩამომართმევთ ჩმახვადა).
თავსა გასწირავს... სიკვდილი არ უჩნს ჩირად და ხახვადა.

სჭვრეტს იგი, ტურფა რაინდი, ლოგინსა ლბილსა მწოლარე:
ვითა გასწითლდის თათარი, ბაქოსთვის ავად მბრძოლარე.
გადასცა რუსეთს წყაროთნი ნავთ-მადრევანთა მსროლარე,
დაფნის გვირგვინით შეიმკო მან ელჩი რუსთა მეოლარე.

და განსჭვრეტს კვალად შეინმან, ჭაბუკი მზეთა სადარი:
ქვეყანას სასომხეთოსა (ლეგრანი ელჩად სად არი)
ერევნის პროლეტარობა საკომუნისტოდ მზად არი...
დაფნა მიეზღო ლეგრანსაც, არ ანწლი, არც თუ ჭადარი.



და აჰა, ლაღად განიხვნენ ნათელნი ბჭენი ცისანი,
მოისმა საგალობელი მუნ ანგელოსთა ხმისანი,
გარდამოვიდა ლენინი, მზე იმა რუსეთისანი,
ხვევნა ალერსნი ახშირნა იმა ძმათა, თუ ყმისანი.

ზე წამოიჭრ რაინდი ნანახით აღნატყინები.
გარნამცა ჰნახა ლენინი თვისზე გულ ანატკინები,
ბაქო—ერევნელთ უბოძა მან იგი დათვნის ჩინები,
არად ეამის, კვლავ ჩაწვის შეინმან განაწყინები.

ძილშიგან ხილვა იხილა მან უშჯობესი ბევრისა:
კომუნისტურად მონათვლა მთელი ქართველი ერისა,
ახლოდ ლენინის ახლება (ხელშიგან დათვნის მჭერისა)
ჟამი დაუდგის შეინმანს სიცილისა და მღერისა.

გული აღმოხდა საბუდარს და როკავს გაშმაგებული,
მოსკოვს რადიო გაჰყვირინდა: შეინმან იქმნა ქებული.
შემოიჯარა ქართულთა კომუნისტებთა კრებული
ოსი, სომეხი, თათარი, რუსიც არ დარჩა კლებული.

შეინმანს ითხოვს გარე ბრბო, გუგუნი ისმის ძალისა.
ზე აღიმართა მძინარე, ხილვამ რა გაახალისა,
მიმოიხედა... არსად აჩანს სიზმრად ნანახი თვალისა.
სჩანს გატეხილი ქოთანი და ავისუნი წყალისა.

საგარეო საქმეები.

ქართული ანდაზა მშვენივრად ამბობს:

„ალალი მისთვის გაჩენილია,
ნიბლიას არ სვდეს ტკბილი ძილია“.

როდესაც საგარეო საქმეები ჩვენი ასალი წარმომადგენელის მეოხებით უკვე იჩარხება და საქართველოს ცის ტიალიდან შავი დრუბლები იფანტებიან, ჩვენ ძლიერ გვეშინია.

გვეშინია ამიტომ, რომ უკეთუ ალალი არ დაგვირჩა, არ ჩამოგვეძინოს.

ჩამოძინებულ ქართველს არა თუ კომუნისტური რუსეთი, არამედ კომუნისტური სომხეთიც ადვილათ წაიღებს.

სწორეთ ამ მოსაზრებით დაევალა პატივცემულ დ. კაკაბაძეს მიედო რუსეთიდან გაქცეული გენერალი კრასნოველი და მილიერანის დახმარებით კვლავ აემხედრებია იგი.

პატარა ფელეტონი.

გავამტყუნე.

ამას წინათ მე და ჩემს ცოლს დიდი ჩხუბი მოგვივიდა.

ჩხუბის მიზეზათ გადაიქცა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება ტკბილეულობის მომზადებისა და გაყიდვის აღკრძალვის შესახებ.

— ჩვენშიაც შემოდის ბოლშევიკური სულიო, სთქვა ჩემმა თანამესასთუმლემ, როცა ეგ ბრძანება წაიკითხა.

მე ძალიან კარგად ვიცი, რომ ჩვენი ქვეყანა ბოლშევიზმიდან ისე შორს არის (იდეიურად, რასაკვირველია), როგორც ცა დედამიწისაგან, და ამიტომ პირდაპირ ველლდები ხოლმე, როცა ვინმე მას ბოლშევიკურ მეთოდების ხმარებას უკიჟინებს.

— წინდაუხედავათ ასეთ სიტყვებს ნუ წამოისვრი, თუ გიყვარდე, — საყვედურის კილოთი შევნიშნე მე ჩემს მეუღლეს.

— მე ყველაფერს წინდახედულათ ვამბობ, — მტკიცეთ მიპასუხა მან.

— ნუ თუ შენ გულწრფელათ გწამს საქართველოში ბოლშევიკური წესების არსებობა?

— მაშ რა არის ტკბილეულობის ხმარებიდან განდევნა, თუ არ ბოლშევიკური წესი?

— ვინ განდევნა?.. რას ამბობ?!. საქმე ხელ ბრძანებაში არაა.

— მაშ რაშია?

— ფაქტიურ მდგომარეობაში.

— მე მგონია — ბრძანებას მიტომ სცემენ, რომ არსებული მდგომარეობა შესცვალონ.

— აი, აქ არის შენი მთავარი შეცდომა... მალე სამი წელი შესრულდება, რაც დემოკრატიულ სამშობლოში ცხოვრობ და ჯერ კიდევ ვერ შეგიგნია, რომ ეს ასე არ არის, არ იცი და...

— უკაცრავათ, მე ძალიან კარგად ვიცი, რასაც ვამბობ, გამაწყვეტია სიტყვა ჩემმა ცოლმა.

— თუ იცოდე, არც ასეთ სისულელეს იტყვი, — ცოტა არ იყოს, ხმა მაღლა ვუპასუხე მე.

— სისულელეს შენ ამბობ!

— შენ ამბობ!...

ამავე მოსაზრებით, ლოიდ-ჯორჯისა და კრასინის მოლაპარაკების დროს გამოვაჩინეთ ქალაქ კორკის ლორდ-მერის აჩრდილი და ამით მათი მშვიდობიანი მოლაპარაკება დავარღვიეთ.

ამასთან ერთად ჩვენი დელეგაცია კვლავ აწარმოებს საქმიან საგარეო პოლიტიკას.

— შენ....

და საქმე იმ ზომამდე გამწვავდა, რომ ჩვენ ...რთმანეთს ფიზიკური შეურაცხოფაც კი მივაყენეთ

. . . .

ამის შემდეგ გავიდა ერთ თვეზე მეტი.

სამსახურიდან სახლში ვბრუნდებოდი და როცა ...უსთაველის პროსპექტზე ერთ-ერთ საკანდიტროს ...ინ ჩავიარე, ჩემი ყურადღება მიიპყრო სხვა და სხვა ...ვერისა და ფორმის ნამცხვრებმა, რომლებიც, თი...აქოს ვილაცას ემალებიანო, მორცხვათ გამოიყუ...ებოდენ ყინვისაგან შეორთქლილ შუშაბანდის ...უნჯულებიდან.

— ხომ გავამტყუნე! სიხარულით წამოვიძახე ...ე და საკანდიტროში შევედი.

საჩქაროთ ავაწონიე რამოდენიმე გირვანქა ...ალლო, ხაჭაპურები, ბისკვიტები...

და ჩქარი ნაბიჯით გავსწიე სახლისაკენ...

— არც ეხლა გამოტყდები, რომ შენი იმ დღინდელი გამოლაშქრება ცილის-წამება იყო და მეტი არაფერი?—კარებში შესვლის თანავე მივაძახე ჩემს ცოლს და ტკბილეულობით სავსე ქაღალდის პარკი ჩავუგორე კალთაში.

მან პარკი საჩქაროთ გახსნა და...

ქალის გულს ვერაფერი შეაქანებს, თორემ მე რომ მის ადგილზე ვყოფილიყავი, სირცხვილისაგან გავწითლდებოდი.

ის კი...

მადიანათ შეუდგა მისივე გამამტყუნებელ „ნივთიერ საბუთების“ ჭამას...

თითქოს არც კი გამტყუნებულიყოს!..

d.

ლადო გუდიაშვილი სპეციალურად დანიშნულ იქმნა ლამაზ ბანოვანთა გამოფენაზე ქ. პარიზს. უმშვენიერესს პარიზელ ქალწულთა შორის, რომელმაც მიიღო პრიზი სილამაზისა, ჩვენმა წარმომადგენელმა უძღვნა მოვერცხლილი ყანწი, ალბათ მომავალი მეუღლის დასაჯილდოებლათ.

სენსაციები.

1) ბაუერზაკსი ლანჩხუთში.

ბათომი. ბათომის საბჭოს სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება იმის შესახებ, რომ ლანჩხუთის ქალაქის თავმა გახსნა პლასტიკის შკოლა და მასწავლებლებათ მიიწვია ცნობილი ბაუერზაკსი და ვაკარეცი. ამ მოხსენებამ დიდი აურ-ზაური გამოიწვია ხმოსნებში. უსაყვედურებდენ გამგეობას, რომ იგი ცხოვრებას ჩამორჩა და პირველობა პლასტიკის საქმეში ლანჩხუთს არგუნა. საბჭომ ერთხმათ დაადგინა დაარსდეს პლასტიკის შკოლა და მოწვეულ იქნას ხელმძღვანელათ აისედორა დუნკანი *). მით უმეტეს, რომ ბათომის ბიუჯეტს ეს არც ისე გაზრდის. თუკი პატარა ლანჩხუთის თავს შეუძლია ბაუერზაკსი შეინახოს, რატომ ბათომს არ შეუძლია დუნკანის შენახვა.

*) უმჯობესი იყო მოეწვია თვით ქალ. ლანჩხუთის მოურავი.

ეშმაკი.

2) მდგომარეობა პროვინციაში.

მე შევკრიბე ცნობები იმის შესახებ თუ როგორაა საქმე დაყენებული საქართველოს დანარჩენ მხარეში და შემდეგი დეპეშები მივიღე:

ლანირ-ჭაგანი. ჩვენი თემი ყველაზე დაწინაურებულია: გვაქვს სამი სკოლა, ოთხი ბაზარი, ხუთი კოოპერატივი, ექვსი აფთიაქი, 7 საავათმყოფო 10 საწოლი, 12 ფოსტა-ტელეგრაფის კანტორა. დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ არც ამ საქმეში ჩამოვრჩებით სხვას ჩვენმა ბელადებმა მლვ. ჩხაიძემ და ელიავამ გამოიწვიეს ბოლგარიიდან ჩვენი სამხატვრო თეატრის სახელმძღვანელოთ კაჩალოვი.

სათეატრო სარბიელზე ჩვენი დელეგატების მიერ მოწვეულ იქმნა ახალგაზრდა რეჟისორი ვას. ეუშიტაშვილი.

ცარცხანაყანები. არც ჩვენ ჩამოვრჩით სხვას. მაგრამ ჩვენ ცეკვისა და პლასტიკის სწავლა არ გვჭირდება. ჩვენი გოგოები და ბიჭები საკმაოთ მიეჩვიენ ლობეზე ხტუნვას ჩვენ სიცილი უფრო გვაინტერესებს. ამისათვის მივანდვეთ ჩვენ წარმომადგენელს ვეტია თედორაძეს ვასო აბაშიძის მოწვევა.

გოჭოურა. ჩვენი სოფელი ქუთაისთან ახლოა. ჩვენ მოგვწყინდა დახავსებული როტვა ჩვენი ყვითელი მტრების. გაფრინდაშვილის მიერ მოკლული ტილი გვირჩევნია მთელ მესამოცე წლის ყვითელ პოეტებს. ჩვენი სოფელი მხოლოთ ახალგაზდა მგოსნებითაა დასახლებული. ამიტომ ხელმძღვანელათ გამოვიწერეთ პოლ ვერლენი და გრ. რობაქიძე.

P. S. სხვა ცნობებს ველი კიდევ. მოსვლისთანავე მოგაწვდით.

გრ. სლუჩაინი.



წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო, გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ ჟურნალში შემდეგ წერილს:

დღეს დილით ფოსტით მომივიდა შემდეგი შინაარსის საჩქარო დეპეშა: **„ამა წლის 5 იანვარს ბათომის ციხე-სიმაგრეთა შტაბში ერთმა აფიცერმა სცემა ახლად ჯარში გაწვეულ ჯარის კაცს, ოგანეზოვს. შემდეგ დაეპატიმრა და დაპატიმრებულსაც სცემა ბინაზე ჯარისკაცების თანადასწრებით. არ გისახელებთ აფიცრის სახელსა და გვარს, რადგან მას მთელი შტაბი იცნობს და ყველამ იცის, რომ ჯარის კაცს ოგანეზოვს უმიზეზოთ სცემა. მიუხედავათ ამისა ყვულა სდუმს. გთხოვთ მიიღოთ სათანადო ზომები. თქვენი იდუმალი აგენტი“.**

ამით საჯაროთ ვაცხადებ, რომ მე არავითარი იდუმალი აგენტი არ მყავს, რადგან მე ისე

არაფრის შესახებ არ დავსწერ, თუ პირადათ არ დავრწმუნდი. ამასგარდა მე არც შტაბის უფროსი ვარ და არც მთავრობის საგანგებო რწმუნებული და ვთხოვ ყველას ასეთი დეპეშით ნუ მომმართავენ, რადგან არავითარ ზომების მიღება არ შემიძლია. თუ ვინმე არ მიიღებს მხედველობაში ჩემს განცხადებას და კიდევ გამომიგზავნის ასეთ დეპეშას, მე არავითარ ზომას არ მივიღებ, მხოლოთ გადავუგზავნი მთავრობის საგანგებო რწმუნებულს „საჭირო ზომების მისაღებათ.“

გრ. სლუჩაინი.



თანამედროვე სტატისტიკა.

ბათუმის ქალაქის გამგეობასთან დაარსდა სტატისტიკური განყოფილება მიხ. ჯიბლაძის ხელმძღვანელობით.

შეკრებილია აუარება ცნობები. დამუშავებულია ჯერ-ჯერობით შემდეგი: დამოკიდებულება მოსამსახურეთა პირველ საჭიროების საგნებისადმი.

მოგვყავს მეტათ საინტერესო ცხრილი.

	ჯამაგირის რაოდენობა უდრის.								
	ინდოურ	ბატი	კვერცხი	ნავთი	სპიტი	ბაბრაოსი ოდეოდნ	სადილ	კარგი კოსტიუმი	ნაკლები კოსტიუმი
ქალაქის თავი, ბანკის დირექტორები . . .	10	12	1000	600	1500	400	60	1/2	3/4
გამგეობის წევრი, რედაქტორი და სხვა. .	8,3	10	853	500	1250	333,3	50	2/5	1/5
საქმის მწარმოებელი . .	2,5	3	250	150	350	100	15	1/8	1/5
ქართულ ტეატრის მსახიობი.	3	3,5	260	165	370	110	17	1/7	1/4
რკინისგზელი.	4/5	1	100	50	125	33,3	5	1/24	1/16
ასოთ ამწყობი ევ. ჯანელიძე	2	2,5	240	130	320	90	14	1/9	1/6
გაზეთის თანამშრომელი.	1,6	2	166,6	100	250	66,6	10	1/12	1/8
გიმნაზიის მასწავლებელი.	1,4	1,8	150	90	240	56,6	8	1/14	1/10

შენიშვნა: ამ სიაში არ არის კომისრები და მილიციონერები. საქმე იმაშია, რომ მათი ჯამაგირის შედარება ზემოაღნიშნულ ნივთებთან შეუძლებელია, რადგან მეტის მეტათ მცირე ნაწევრები გამოვა. ცხოვრებით კი კარგათ ცხოვრობენ. მაგ. მათი ჯამაგირი უდრის 3 სადილს, ხოლო მშიერი კომისარი ერსად მინახავს, მოქეიფე კი ბევრი. ამიტომ მიხეილ ჯიბლაძემ ვერაფერი მოუხერხა მათ და სრულიად გამორიცხა სტატისტიკიდან.

ახლო მომავალში გამოვაქვეყნებთ მეორე ცხრილსა, იქ საკითხი მეორე მხრიდან იქნება გარჩეული. მაგ. ამ ცხრილში სწერია, რომ რკინისგზელი ღირს 1 ბატ. მე-2 ცხრილში ეწერება რამდენ რკინისგზელათ ღირს 1 ბატი, ან ინდოური, ან სხვა.

გრ. სლუჩაინი.

კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

(სტენა მანგლისის გზაზედ).

— ჰაიი, ჯეელო, ჯეელო...

შენ გეუბნები, ცხენოსანო...

— რაიყო კაცო! მე მიძახი?

— ერთი შენს გაზრდას, მანდ რომ ხის ძირას სახედრებია, გამორეკე აქეთ, ნულარ ჩამომიყვან, სულ ერთია გზა მაინც აქეთა გაქვს, გაუჯავრდიდა წამოვლენ თავისთავად...

— სადაა აქანე სახედრები?

— აი, კაცო ხის ძირას ვერა ხედავ ორ სახედარსა. .

— ხის ძირში აქანე ვირებია ძამია..,

— ჰოდა იმას ვამბობ მეც...

— ვაი შენს პატრონს „ვირის სახელიც ალარ იცით თქვე უბედურებო? აჩუ ვირო, აჩუ მეთქი შენ დაგაფურთხაშა მამალმა მგელმა. წაი ვირო წინ პატრონი გიძახის ეგერ...

— რასა ჯიუტობენ ეგ ოხრები, გადაუპირე ეგ მათრახი მაგ უპატრონოს...

— უპატრონო თუა და შენი არაა რეიზა მადენიებ ძამია?

— ჩემია მაშ ვისი ეგ ოხრად დასარჩენები,.. აი აგრე, მისცხე ნუ გეშინია, ოო გენაცვალე მარჯვენაში...

თოოქშ... თოოქშ... ეხლა ალარ დადგებიან ეგ ოხრები... აი გიშველა ღმერთმა. თუ არ შენ ამ სიშორეზედ უნდა ჩამოვსულიყავი...

— გამარჯობა შენი!

— გაგიმარჯოს ღმერთმა

— შენია აი ვირები?

— ჩემია...

— აკი უპატრონოაო?

— რა არი უპატრონო, შე კაი კაცო მე ფეღარა მხედავ? რა კარგი ცხენი გყავს...

— ცხენი თუ კაია, ბიჭიც კაი ყოფანა ზედ..

— საით მიემგზავრები?

— ნაწილში ..

— რაო, ნაწილშიო, აგეთი სოფელი მე არ გამიგია ჯერ? ალბად წალკაში მიდიხარ და სახელი დაგავიწყდა.

— რაიო კაცო? ნაწილის სახელი ჩემს მტერს დაავიწყდა, რვაი თვეია იქინე ვმსახურობ და სახელი ალარვიცი?

— სადა მსახურობო?

— სადა და ჯარში, ჯარის ნაწილში...

— ჰოო, ჯარში—პოლკში რაღა, ასე იტყოდი შე კაი კაცო... ჰაი გიდი, როგორ იმერულად ჩაიცინე ულვაშებში, დაშცინი რაღა, შენ წელან სახედრები ვერ გაიგე რაიყო, მაგრამ, მე როდი დაგცინე?.!

— არ მომიკვდეს შენი თავი, კაცს პირველად გხედავ და დაცინვა რა პატიოსნობაა...

— სადაური ხარ?

— გურული გახლავარ...

— გურიელი ხარ?

— გურიელი კი არა გურული ვარ.

— გეტყობა აქაც უნდა მიხრიკო რამე იმერულად თორემ გურული და გურიელი სუფთა არ არის?

— აწი, რეიზა იქნება ერთი, გურიელი ჩვენი მეფის გვარი იყო და გურია კი კუთხეს ქვია, მაზრაა კაი მოზდილი. .

— თქვენ შვილოსა ლაპარაკში ვინ მოგიგებთ, თქვენში ბავში დაიბადება თუ არა მღვდლის მაგიერ ადვაკატს უნდა მოანათვლინოთ, რა არის კარგი ლაპარაკი ისწავლოსო ..

— ლაპარაკი არ ვარგა თუ?

— რატომ... თავის დროზე ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი ეს მითხარი: რა ისმის ომისა, შენ სალდათი ხარ და გეცოდინება რამე...

— ჯერ არაფერი, ჩვენ რავაც ყოოლთვის გამზადებული ვართ, ჩვენით არე კაცს ვეჩხუბებით და თუ თვითან წამოვლენ კას ამბავს წეილებენ.

— აი, გენაცვალე მაგ ენის ძარღვებში, აგრე უნდა, მაგრამ იცი რას გეტყვი?

ჩვენი ჟორდანია და ჯუღელი ვერ იქცევიან კარგათ... ადგნენ და როგორც ნეფე ერეკლეს დროს ყოფილა გამოუძახონ ყველას, ქუდზე კაცი მოიწვიონ წაგვასხან ყველა, ჩვენც ერთბაშად მივაწვებით და სუ კუდით ქვას ვასროლინებთ...

— სიჩქარით აფერი არ გაკეთებულა და არც გაკეთდება მეიცე პაწე, შეიძლება ასეც ქნან თუ საპირო დარჩა... იგინმა ჩვენზე ოკეთესად იციენ ყორიფელი...

— ჰო, ეგ კი მართალია, სწავლა იმათ აქვთ და განათლება, და თუ იმათ არა მე რა შავი ქვა ვიცი, ერთი კვირაა აგერ, „პოსკა“ მივიღე და ჯერაც ვერ გამიგია რა დღეს ვარ დაბარებული. იქნებ შენ იცი წიგნი?

— ვიცი.

— აბა შენი ჭირიმე მე აქა მაქვს... აი... წაიკითხე რა სწერია.

— რა დიდი საქმეა მაგი... ამწუთში... ვაიმე ძამია... შენ ამ თვის სამში ყოფილხარ დაბარებული და დღეს კი თერთმეტია მგონი...

— რას ამბობ კაცო! ეს თვე თავდება და შენ თერთმეტიაო ამბობ?

— ძველი სტილით კი, მარა ახალი სტილით ვადა გასული აქვს ამ შენს უწყებას...

— აი, ახალი ტილი და ძველი ჭირი ეცვს იმათ ვინც ჩვენ ასე დაგვყარა და ანა-ბანა არ გვასწავლა... ხო დავიღუპე კაცი, ვინ იცის როგორც გადაწყდა საქმე, ისევ უნდა წავიდე და გავიგო რამე...

— ჰო, მიხვალ საოლქო სასამართლოში და მოგცემენ „სპრავკას“.

— კაცო! შენ მთლად გადამრიე დღეს, საოხრო სასამართლო, რომელია, მე „ოკრუჟნოი სუდში მჭონდა საქმე..

— კი ძამია კი „ოკრუჟნოი“ რუსულად ქვია და საოლქო ქართულად ასე წერია აქანეც.

— ვაი შენ ჩემო თავო... როგორ დავღუპულვავ და მე კი არხეინად ვიყავ აქა...

— ნუ გეშინია, შეიძლება საქმე გადადვეს რადგანაც ვერ მიდი, აგი, ხდება ასე, მარა პაწას კი დაგშტრაფავდენ

— ოჰ, შენკი გენაცვალე იმედს მაძლევ, თორემ ვინიცის რასმეს აუტეხდი ჩემს თავს... სული ჩემი ქონების საქმე იმ ვერანა სუდშია...

— გული არ უნდა გეიტეხო ყორიფელს ვაშკაცურად უნდა შეხვდე..

— აი გიშველოს ღმერთმა... შე მამაცხონებულის შვილო, ერთი კვირით ადრე მაინც გამოივლიდი ამ სატიალო გზაზედ... იცი რა? კაცი კაცით არის იმედი ბევრს ნიშნავს მოდი ერთ რამეს გთხოვ და ხათრს ნუ გამიტეხ...

— თუ კი შემიძლია დიდი სიამოვნებით...

— გზა მაინც იქით გაქვს, გავიაროთ ჩვენსა და თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ შენისთანა კაცის გაცნობა და მასთან პურის ჭამა ალალია.

— ძაან მეჩქარება თვარა დიდი სიხარულით წამევიდოდი...

— რაც უნდა საქმე გქონდეს ცოტა ხნით ჩემთვის გადასდე და წამოდი ჩემთან..

— აი ჩანთა, რომ მაქ გადაკიდული ხომ ხედავ სულ საქმიანი ქაღალდებითაა საფსე, ამდენ ხანსაც უნდა წავსულიყავი მარა შენ გამაჩერე, ნაბძანები მაქ მალე უნდა მივიდე და ბძანება რომ არ შევასრულო ხომ იცი რაც დამემართება...

— მაშ კარგი, წადი, ნულარ დაგვიანდები, მაგრამ ერთხელაც იქნება შეგხვდები სადმე და კარგ დროებას გავატარებთ...

— შვიდობით, კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა.

— გზა მშვიდობისა მოგცეს ღმერთმა...

მოდი შენ ეხლა და შაქარაანთ გიგოლას შხამიან გველსავით ნუ გაუჭეჭყავ თავსა... უნდა დაიჭირო და ვენახის სასხლავ დანით მოაჭრა ძირში ენა...

ჰაი, იმერლები ასე შვრებიან, ისე შვრებიან, ქვეყანა დაღუპესო,..

რასა შვრებიან შე ოხრის ნაშობო! შენა! აჰა, იმერელი არ იყო ეგ ბიჭი? ფულის საშოვნელად ხომ არ წამოსულა? მიუტოებია: სახლი კარი, ოჯახი დედა, მამა, გადაუკიდია თოფი და მსახურებს აქ... წიგნიც იცის, საქმეც იცის, სამსახურის ძალაც იცის თეთრსაც არჩევს და შავიც იცის, დახე რა სთქვა: „ბრძანება უნდა შევასრულოვო... მე კი ჩემს საკუთარს საქმეზედ ვიყავი დაბარებული სუდში და ისიც კი ვერ შევასრულე..

რ. ჯიბილ.

წარჩინება

(ჩინური ზღაპარი, რომელსაც წარწერა არ სჭირდება)



დამოუკიდებელი

„ეშმაკის მათრახის“ ხელის მომწერთა საყურადღებოდ

რადგანაც ამ ჟამათ რედაქციას საჭირო ქაღალდის შეძენა უხდება ბაზარზე მეტად დიდ ფასებში, იძულებულია გაადიდოს ჟურნალის ფასი 100 მანეთამდე. ამიტომ ხელის მომწერთ, რომელნიც არ შეასრულებენ ფულს ახალი ფასის თანახმათ, ჟურნალი გაეგზავნებათ მხოლოდ იმ დროამდე, სანამ ახალი ფასის მიხედვით საკმარისი იქნება მათ მიერ გამოგზავნილი ფული; შემდეგ კი შეუწყდებათ.